

ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გაეროს სახელმწიფოებო ორგანოებს. ამის დასტურია, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის კომიტეტში (CEDAW) შესული განაცხადი, რომელშიც აღწერილია ოჯახში ძალადობის ფაქტები. წარმოდგენილი გადაწყვეტილება შეეხება „ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის (CEDAW) დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით CEDAW კომიტეტის მიერ 2015 წლის 13 ივლისს, 61-ე სესიაზე მიღებულ დასკვნას.

კომიტეტმა საქართველოს დააკისრა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება. კერძოდ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს:

ა)

- მოსარჩელების მიმართ: მოსარჩელებისთვის უფლებების დარღვევის სიმძიმესთან თანაზომიერი ფინანსური კომპენსაციის გადახდა;

ბ) ზოგადი

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი და მათი შვილები დროული და სათანადო დახმარებით, მათ შორის თავშესაფრით და ფსიქოლოგიური მხარდაჭერით;
- გააძლიეროს ცნობადობის ასამაღლებელი კამპანიები და დაამკვიდროს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ქალების წინააღმდეგ ძალადობასა და კონკრეტულად ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით;
- მოახდინოს ევროპის საბჭოს კონვენციის „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება;
- ჩატარდეს სავალდებულო ტრენინგები მოსამართლეთათვის, ადვოკატებისა და სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის პროკურატურის თანამშრომელთათვის ოჯახში ძალადობის პრევენციის აქტთან დაკავშირებით, ასევე ოჯახში ძალადობის განმარტებასა და გენდერული სტერეოტიპებთან დაკავშირებით, ამასთანავე უნდა ჩატარდეს შესაბამისი ტრენინგები კონვენციაზე, მის დამატებით ოქმზე და კომიტეტის ზოგად რეკომენდაციებთან, განსაკუთრებით მე-19 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

საქართველოს ეთხოვა, რომ უზრუნველყოს აღნიშნული მოსაზრების თარგმნა ქართულ ენაზე, მისი ფართო გავრცელება რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოების ყველა სექტორისთვის.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების მიერ ითარგმნა CEDAW კომიტეტის მიერ განხილულ საქმეზე - „X“ და „Y“ საქართველოს წინააღმდეგ“ გამოტანილი დასკვნა.

გაერო - ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი /C/61/D/24/2009

---

კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

6 აგვისტო, 2015 წელი

საბოლოო დაურედაქტირებელი ვერსია

---

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი

გადაწყვეტილება N#24/2009

კომიტეტის 61-ე სესიაზე მიღებული მოსაზრებები

(6-24 ივლისი, 2015)

განაცხადი შეტანილია: „X“-ს და „Y“-ს მიერ (წარმოდგენილნი ადვოკატის მიერ)

პოტენციური დაზარალებულები: განაცხადის ავტორები

სახელმწიფო მხარე: საქართველო

მითითება: - გადაეცა სახელმწიფო მხარეს 2009 წლის 29 ოქტომბერს

(გამოცემული დოკუმენტის ფორმის გარეშე)

- გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ გამოვიდა 2013 წლის 26 ივლისს

(კომიტეტი /C/55/D/24/2009)

მოსაზრებების მიღების თარიღი: 2015 წლის 13 ივლისი

დანართი

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მოსაზრებები „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმის მე-7 (3) მუხლთან მიმართებით (61-ე სესია)

ეხება

გადაწყვეტილებას N#24/2009<sup>1</sup>

განაცხადი შეტანილია: „X“ და „Y“ (წარმოდგენილი ადვოკატის მიერ)

პოტენციური დაზარალებულები: განაცხადის ავტორები

სახელმწიფო მხარე: საქართველო

კომუნიკაციის თარიღი: 2009 წლის 24 ივნისი (თავდაპირველი წარდგენა)

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-17 მუხლის მიხედვით შექმნილმა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა,

2015 წლის 13 ივლისის სხდომის შედეგად,

დაადგინა შემდეგი:

**მოსაზრებები დამატებითი ოქმის მე-7 (3) მუხლთან მიმართებით**

1. საჩივრის ავტორები არიან საქართველოს მოქალაქეები: “X”, დაბადებული 1961 წელს და მისი ქალიშვილი - „Y“ დაბადებული 1990 წელს. ისინი აცხადებენ, რომ დაზარალებულები არიან და მათ მიმართ საქართველომ დაარღვია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის 1-ლი, მე-2 (ბ) - მე-2 (ვ), მე-5 (ა) მუხლებით გარანტირებული უფლებები. მათ ინტერესებს იცავს

---

<sup>1</sup> წინამდებარე კომუნიკაციის განხილვაში მონაწილეობდნენ კომიტეტის შემდეგი წევრები: აისე ფერიდე აკარი, გლადის აკოსტა ვარგასი, ქ-ნი ბახიტა ალ-დოსარი, ნოკოლ ამელინი, მალაის აროჩა დომინგუზი, ბარბარა ბაილი, ნიკლას ბრუნი, ლუიზა ჩალალი, ნაელა გაბრი, ჰილარი გბედემაჰი, ნაჰლა ჰაიდარი, რუთ ჰალფერინ-კადარი, იოკო ჰაიაში, ლილიან ჰოფმეისტერი, ისმათ ჯაჰანი, დალია ლეინარტე, პრამილა პატენი, სილვია პიმენტელი, ბიანკამარია პომერანზი, პატრიცია შულცი და ხიოკიო ზოუ.

კანონიერი წარმომადგენელი.<sup>2</sup> ფაკულტატური ოქმი საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2002 წლის 1 აგვისტოს.

## ფაქტობრივი გარემოებები

2.1. 1987 წელს „X“ დაქორწინდა ქართველ მამაკაცზე, მას შემდეგ, რაც იგი გააუპატიურეს 1987 წლის ივლისში გამართულ სტუდენტურ წვეულებაზე; მანამდე, იგი ქალიშვილი იყო. „X“ აცხადებს, რომ ქართული საზოგადოება ქალწულობას მიიჩნევს ახალგაზრდა ქალის ღირსებად, როგორც წარმატებული ქორწინების საწინდრად. „X“ დაქორწინდა ამ მამაკაცზე, რადგან სჯეროდა, რომ მის ცოლად მოყვანას აღარავინ მოისურვებდა. ქორწინების განმავლობაში, მან გააჩინა 5 შვილი - 1988, 1989, 1990, 1991 და 1993 წლებში. პირველი ფეხმძიმობის შემდეგ, იგი დიასახლისი გახდა და მიატოვა თავისი სამსახური თბილისის მუსიკალურ სკოლაში, სადაც ფორტეპიანოს პედაგოგად მუშაობდა. 1993 წელს, განმცხადებლის დედა გადმოვიდა „X“-ის ოჯახში საცხოვრებლად, საოჯახო საქმეებში დახმარებისა და ბავშვების გაზრდის მიზნით.

2.2. „X“ აცხადებს, რომ მისი ქმარი ხშირად უკმაყოფილო იყო ცოლის საოჯახო საქმიანობით და ღიზიანდებოდა, როცა მისი მითითებები არ სრულდებოდა. კონფლიქტები წარმოიშობოდა წვრილმან საყოფაცხოვრებო საკითხებზე, რომელიც ძალადობრივი ინციდენტებით სრულდებოდა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა განმცხადებლის ქმარი ფიზიკურად გაუსწორდა მათ ვაჟიშვილს - „T“-ს. ზოგადად, მისი ქმარი ძალადობრივად რეაგირებდა, თუ ბავშვები თამაშის დროს იჩხუბებდნენ. იგი უყვიროდა მათ, ანჯღრევდა ძალის გამოყენებით და კეტავდა საპირფარეშოში. ერთხელ, „X“-ს მოუხდა „Y“-სა და „T“-სთვის თითზე ჭრილობების გაწმენდა, რომელიც გამოწვეული იყო მამის მიერ კარებში თითების ჩატანებით, რათა დაესაჯა ბავშვები უსაქციელობის გამო. მათი ეს ორი შვილი, განიცდიდა ყველაზე მეტ ძალადობას. სხვა შემთხვევებში, მამა ცემდა შვილებს სხვადასხვა ნივთებით, რომელსაც „X“ შემდეგ ცდილობდა თვალთახედვის არეალიდან მოეცილებინა. აღნიშნული მთავრდებოდა „X“-ზე ქმრის მიერ აგრესიული ძალადობით, როცა იგი ცდილობდა ბავშვების დაცვას.

---

<sup>2</sup> საქმე წარდგენილი იყო ქ-ნი ელენა ფილეევას (ქართველი ადვოკატი) და არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტერაიტსი“-ს მიერ (Interights) (ლონდონი); შემდგომში, საჩივრის ავტორებს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ადვოკატთა ევროპული ცენტრი (მიდლესექსის უნივერსიტეტი, ლონდონი).

## ძალადობა „X“-ზე

2.3. „X“ აცხადებს, რომ იგი 1996 წლიდან განიცდიდა ფიზიკურ ძალადობას ქმრის მხრიდან. მან პოლიციაში რამდენიმე საჩივარი შეიტანა ქმრის მიერ განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, თუმცა უშედეგოდ. 2001 წლის 23 დეკემბერს, მორიგი კონფლიქტის შემდეგ, მისმა ქმარმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა „X“-ს, რასაც შედეგად მოყვა ჭრილობების მიყენება სახესა და თავის არეში. ქალს გაეწია სამედიცინო დახმარება.<sup>3</sup> 28 დეკემბერს, ისანი-სამგორის რაიონულმა პროკურატურამ უარი განაცხადა ინციდენტის თაობაზე სისხლის სამართლებრივი გამოძიების დაწყებაზე, რადგან „X“-მა უკან გაიტანა თავისი საჩივარი მორალური დილემის გამო; კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ „X“-ის ქმარი მოძალადე იყო, იგი ამასთან მისი შვილების (ერთობლივად გასაზრდელი) მამას წარმოადგენდა.

2.4. 2004 წლის 3 ივლისს, „X“-მა პოლიციას შეატყობინა, რომ ქმარი ფიზიკურად გაუსწორდა მას, იმის გამო, რომ „X“-მა ერთი თვით ადრე, საჩივარი რაიონულ პროკურატურაში შეიტანა. პოლიციამ წერილობით დაავალდებულა ქმარი აღარ განეხორციელებინა ძალადობა საკუთარი ოჯახის მიმართ.<sup>4</sup>

2.5. 2004 წლის 15 ივლისს, ქმარმა შეურაცხყოფა მიაყენა და ცემა „X“, მას შემდეგ, რაც მან გარკვეული თანხის მიცემა სთხოვა. სამედიცინო ექსპერტიზამ დააკვალიფიცირა „X“-ის დაზიანებები, როგორც ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. 17 ივლისს, პოლიციამ წერილობით ვალდებულებაზე ხელის მოწერა მოსთხოვა ქმარს, რათა აღარ გამოეყენებინა ძალა „X“-ის მიმართ. 24 ივლისს, რაიონულმა პროკურატურამ აცნობა ცოლს, რომ მისი მეუღლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღარ აღიძვრებოდა.<sup>5</sup>

„X“ აცხადებს, რომ პოლიციაში შეტანილი 2004 წლის 16 ივნისის საჩივრის შემდეგ, მისი ქმარი უფრო მეტად მოძალადე გახდა და 7 დეკემბერს მან ახალი საჩივარი შეიტანა. პოლიციამ ვერ უზრუნველყო ეფექტურად ჩარევა, გარდა იმისა, რომ ქმარს მოსთხოვეს წერილობით ვალდებულებაზე ხელის მოწერა, და გააფრთხილეს, სამომავლოდ აღარ გამოეყენებინა ძალა ოჯახური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

---

<sup>3</sup> „X“ განმარტავს, დამატებითი დეტალების გარეშე, რომ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შედეგად მას აღენიშნებოდა „რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა მარჯვენა ხელზე და კანქვეშა ჰემატომა“. მისი დაზიანებები დააკვალიფიცირდა, როგორც ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება.

<sup>4</sup> ქმარმა ოჯახი მიატოვა 2004 წლის ივნისში და განქორწინებაზე შეიტანა განაცხადი.

<sup>5</sup> „X“ დასძინა, რომ პოლიციის 2004 წლის 30 ივნისის ანგარიშის მიხედვით, მისმა ვაჟმა - „Z“, მოახსენა პოლიციას, რომ მისი მშობლები მუდმივად ჩხუბობდნენ, რომ ამის ძირითადი მიზეზი იყო მამამისი, რომელიც ხშირად შეურაცხყოფას აყენებდა დედამისს და აღნიშნული კონფლიქტები წლობით გრძელდებოდა. მან დაამტკიცა, რომ მამამისი ცემდა დედამისს 2 წლით ადრე და ასევე მის ძმებს.

*ძალადობა „Y“-ის მიმართ*

2.7. „X“ ამბობს, რომ 1993 წელს მან გააცნობიერა, რომ მისმა ქმარმა დაიწყო გაუკუღმართებული ურთიერთობა „Y“-თან. „X“-ის დედამ, რომელიც 1993 წელს გადმოვიდა მათთან ოჯახში, შეამჩნია, რომ მისი სიძე ხშირად თამაშობდა თავის ქალიშვილთან, რა დროსაც ხელი ეჭირა ფეხებს შორის, ბავშვის სასქესო ორგანოზე. როდესაც X-ის ქალიშვილი დაახლოებით 2 წლის იყო, ბებია ხედავდა, რომ მის სიძეს ბავშვი კალთაზე ესვა და ხელები მის სასქესო ორგანოზე ჰქონდა; კაცის სახე წითელი იყო, კვნესოდა და ვერ შეამჩნია, რომ მას უყურებდნენ. აღშფოთებულმა ბებიამ, გაასაჩივრა სიძის ქმედება და ბავშვი წაიყვანა.

2.8. „Y“-ს ასევე ხშირად ცემდა მამამისი. ერთხელ, მამამ, „Y“ ჩოგნით ცემა, რომელიც გატყდა და ბავშვს დაუტოვა სერიოზული დაზიანებები.

2.9. 2004 წლის 16 ივნისს, „X“-მა შეატყობინა რაიონულ პროკურატურას, „Y“-ის მიმართ მამამისის მიერ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ. ფსიქოლოგის წინაშე, „X“-მა აღწერა ის ინციდენტები, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ფიზიკური და სექსუალური მართლსაწინააღმდეგო ქმედებების სახით, მუდმივი კონფლიქტი ოჯახში და დაძაბული ატმოსფერო ოჯახის წევრებს შორის ქმრის მოქმედებების შედეგად. ჩვენება ასევე მიცემულ იქნა ვაჟიშვილის - „T“-ს (იგი აღწერდა იმ შემთხვევებს, რომელიც მოიცავდა მამამისის მიერ მისი და მისი დის ცემას და შევიწროებას) და „X“-ის დედის მიერ. მიუხედავად ამ ჩვენებებისა, რაიონულმა პროკურატურამ 30 ივნისს გადაწყვიტა არ აღედრა სისხლის სამართლის საქმე.

*შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა*

2.10. შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით, „X“ იხსენებდა რამდენიმე შემთხვევას, როცა თავისი ქმრის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფა გაასაჩივრა. უბნის ინსპექტორმა რამოდენიმეჯერ მონახულა მათი ოჯახი, გაესაუბრა ქმარს და ხელი მოაწერინა ვალდებულებას, რომ იგი შეწყვეტდა ძალადობრივ ქმედებებს ცოლისა და შვილების მიმართ. უბნის ინსპექტორს სხვა ზომა არ მიუღია და არც რაიმე ბრალდებები წაუყენებია ქმრის მიმართ. კერძოდ, 2001 წლის 23 დეკემბრის შემდეგ, როდესაც მისი ქმარი ფიზიკურად გაუსწორდა „X“-ს, სამედიცინო დასკვნის შედეგად მას დაუდგინდა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება (იხილეთ მესამე სქოლიო). შესაბამისად, წინასწარი გამოძიება განხორციელდა რაიონული პროკურატურის მიერ. „X“ და მისი ქმარი დაიკითხა და პოლიციის ოფიცერმა წერილობით აღნიშნა, რომ 23 დეკემბერს, ქალი მისი ქმრის

მიერ იყო ნაცემი. 26 დეკემბერს, ქმრის ზეწოლის გამო, „X“-მა უკან გაიტანა თავისი საჩივარი, რამაც, 28 დეკემბერს, საქმის დახურვა გამოიწვია. 2004 წლის 15 ივლისს, „X“-მა პოლიციას 14 ივლისს მომხდარი ახალი თავდასხმის შესახებ შეატყობინა; მისი დაზიანებები დაკვალიფიცირდა, როგორც ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. პოლიციის განყოფილებაში, ქმარმა კვლავ წერილობითი ვალდებულება აიღო, მომავალში ფიზიკური ძალადობის გამორიცხვის შესახებ მისი ცოლის მიმართ. პოლიციის ოფიცრები გაესაუბრნენ „X“-ს და ცდლობდნენ მის დარწმუნებას საჩივრის უკან გატანის შესახებ. ამასობაში, 24 ივლისს, ცოლმა მიიღო წერილი, სადაც ეწერა, რომ რაიონული პროკურატურა არ დაიწყებდა გამოძიებას მხოლოდ მისი საჩივრის საფუძველზე, დასაბუთების გარეშე.

2.11. „X“-მა დასძინა, რომ იგი პოლიციაში ასევე ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მისი ქმარი კვლავ განაგრძობდა ფიზიკურ ძალადობას შვილების, მათ შორის „Y“-ის მიმართ. აღნიშნული საჩივრები, განხილულ იქნა როგორც კერძო ბრალდების საქმე, მაგრამ არ გამოძიებულა. 2004 წლის 16 ივნისს, ქალმა განაცხადა მისი ქმრის მიერ განხორციელებული ფიზიკური და სექსუალური მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ქალიშვილისა და ვაჟიშვილების მიმართ, მათ შორის წარსული შემთხვევების შესახებ. რაიონულ პროკურატურაში, ჩვენებები ასევე მიცემულ იქნა „X“-ის დედის, „Y“-ის და ქმრის მიერ. 30 ივნისს, რაიონულმა პროკურატურამ უარი განაცხადა გამოძიების დაწყების თაობაზე.<sup>6</sup> 25 ივლისს, „X“-მა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში, აცხადებდა რომ უარის თქმა იყო უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლო. 4 ოქტომბერს, სასამართლომ გააუქმა 30 ივნისის გადაწყვეტილება, დაადგინა რა, რომ რაიონულმა პროკურატურამ გამოტოვა საჩივრის ავტორთა განცხადებების, ასევე ქმრის ფსიქიკური მდგომარეობის განხილვა და მხედველობაში მიიღო მხოლოდ ქმრის მიერ მიცემული ჩვენებები, როცა უარი თქვა გამოძიების დაწყებაზე. პროკურორებმა განმეორებით აიღეს ჩვენებები „X“-სგან, დედამისისგან და ბავშვებისგან. 7 ნოემბერს, რაიონულმა პროკურატურამ უარი განაცხადა ქმრის მიმართ ბრალდებების წაყენებაზე, დაადგინა რა, რომ ბავშვების მიმართ გასაჩივრებული გარყვნილი ქმედება და პედოფილია არ დამტკიცებულა და შვილები დედის გავლენის ქვეშ იყვნენ. „X“-მა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება და იგი გაუქმდა 8 დეკემბერს. საქმე გადაეცა რაიონულ

<sup>6</sup> რაიონულმა პროკურატურამ დაასკვნა, რომ მამის ქცევები არ შეესაბამებოდა, ოჯახურ გარემოში, მამის ნორმალურ დამოკიდებულებას შვილების მიმართ; რომ მას ჰქონდა მუდმივი კონფლიქტი ცოლთან, შვილების აღზრდის მეთოდებთან და ოჯახში ქცევასთან დაკავშირებით; ამასთან, ქმარს უყვარდა შვილების მოფერება და ალერსი, თუმცა ცოლი და სიდედრი ამას გარყვნილ ქმედებად მიიჩნევდნენ. პროკურორმა დაასკვნა, რომ მამის ქცევა არ იყო გარყვნილი და უარი თქვა გამოძიების დაწყებაზე.



პროკურატურას, რომელმაც დამატებითი მტკიცებულებები შეაგროვა ქმრის თანამშრომლებისა და მეზობლებისგან. 28 დეკემბერს, რაიონულმა პროკურატურამ კვლავ უარი განაცხადა გამოძიების დაწყების თაობაზე, აღნიშნა რომ ქმარი დადებითად შეფასდა მისი მეზობლების და ბიზნეს პარტნიორების მიერ და ამდენად საჩივარი დაუსაბუთებელი იყო. 2005 წლის 24 იანვარს, „X“-მა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება. 11 თებერვალს, თბილისის პროკურატურამ, გააუქმა 2004 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე უკან დაუბრუნა რაიონულ პროკურატურას, რათა სათანადოდ გამოეძიებინა საჩივარი. 11 მარტს, „X“-მა მისწერა გენერალურ პროკურორს, 2004 წლის 16 ივნისის მისი საქმის გამოძიების თხოვნით, რადგან „X“-ის ქმარი ემუქრებოდა მას და ბავშვებს. 12 მარტის დადგენილებით, რაიონულმა პროკურატურამ უარი განაცხადა ქმრისთვის ბრალდებების წაყენების თაობაზე. 4 აგვისტოს, „X“-მა კვლავ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება გენერალურ პროკურატურაში, რომელმაც არ დააკმაყოფილა საჩივარი, იმ მოტივით, რომ ქმრის ქმედებებში არ იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები. „X“-მა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება რაიონულ სასამართლოში, რომელიც უარყოფილ იქნა 29 ნოემბერს, როგორც დაუსაბუთებელი. ქალმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. მისი საჩივარი დაუსწრებლად განიხილებოდა 2006 წლის 7 თებერვალს და არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო. გადაწყვეტილება აღარ დაექვემდებარა შემდგომ გასაჩივრებას.<sup>7</sup>

## საჩივარი

3.1. განმცხადებლები უთითებდნენ, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, ააშკარავებდა სახელმწიფოს მიერ კონვენციის 1-ლი, მე-2 (ბ) - მე-2 (ვ), მე-5 (ა) მუხლებით გარანტირებულ უფლებრივ დარღვევებს, რადგან სახელმწიფომ არ შეასრულა ვალდებულება, მიეღო ისეთი სისხლის სამართლებრივი მუხლები, რომელიც ეფექტურად დაიცავდა ქალებსა და ახალგაზრდა გოგონებს, ოჯახში ფიზიკური და სექსუალური ძალადობისგან, ამას გარდა, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კანონის წინაშე თანაბარი დაცვის უზრუნველყოფა, ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის, რის შედეგადაც მომჩივნები დაექვემდებარნენ წამებას, ოჯახში ძალადობისგან დაცვის არარსებობის გამო.

---

<sup>7</sup> 2012 წლის 22 აგვისტოს, ადვოკატმა დასძინა, რომ საჩივარი, აპლიკანტების სახელით, შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2007 წლის 14 მარტს, თუმცა დაუშვებლად გამოცხადდა 2008 წლის 9 დეკემბერს (იხ: პარ. 5.1-5.2).

3.2. კონვენციის 1-ლი და მე-2 მუხლების მითითებით და კომიტეტის N19 ზოგადი რეკომენდაციის საფუძველზე, საჩივრის ავტორებმა დასაბუთებისთვის განმარტეს, რომ სახელმწიფო მხარემ დაარღვია კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რათა უზრუნველყო შესაბამისი ზომების მიღება, სქესობრივ ხასიათზე დამყარებული ძალადობა გამოეძიებინა და რეაგირება მოეხდინა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე. სახელმწიფოს სხვა ვალდებულებებთან ერთად, მოვალეობა აქვს დანერგოს, განავითაროს და სრულყოს საჭიროების შემთხვევაში, ეფექტური ეროვნული პოლიტიკა ძალადობის წინააღმდეგ, დაზარალებულთა დაცვის, დახმარების და უსაფრთხოების მიზნით, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ნორმების მორგება და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მომუშავე პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ასეთი ძალადობის პრევენცია.<sup>8</sup>

3.3. განმცხადებლები ამასთან ერთად აღნიშნავენ, რომ ქალები და ბავშვები, რომლებიც უფრო მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან ოჯახში ძალადობასთან მიმართებით, ექვემდებარებიან სახელმწიფოსგან აქტიურ დაცვას მათი ფიზიკური ხელშეუხებლობის - ფიზიკური, მორალური და სექსუალური - მძიმე დარღვევებისგან დაცვის მიზნით, რომლის შესახებ, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია. ისინი აცხადებდნენ, რომ გარდა საჩივართან დაკავშირებული ვალდებულებისა, სახელმწიფომ უნდა დაიწყოს გამოძიება, როდესაც არსებობს საკმარისი გარემოებები, რომ მძიმე დარღვევა შესაძლოა არსებობდეს.<sup>9</sup> სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ქალი ძალადობისგან, არ მოიცავს მხოლოდ დამნაშავეს ქცევაზე რეაგირებას, არამედ, ასევე გულისხმობს მსხვერპლის კეთილდღეობის უზრუნველყოფას. ეფექტური დაცვის აუცილებელი ზომები, მოიცავს ოჯახში ძალადობის განგრძობითი რისკის აღმოფხვრას, შეზღუდვის შესაბამისი

---

<sup>8</sup> ამ კუთხით, 2002 წლის 30 აპრილს მიღებული ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე (2002)5 წევრ სახელმწიფოებში ქალთა ძალადობისგან დაცვის შესახებ და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაზე 1530 (2007) მითითებით, მომჩივანები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო მხარემ უნდა უზრუნველყოს, ქალთა მიმართ ნებისმიერი ძალადობის, კერძოდ, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის, ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური და/ან სექსუალური თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების ეროვნული სამართლის შესაბამისად მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევა და დანაშაულად დადგენა; ამასთან, ოჯახში ჩადენილი ყველა ძალადობის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის კლასიფიცირება უნდა მოხდეს; ასევე, უნდა განხორციელდეს დამნაშავეს მიერ საკუთარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კერძოდ ზრდასრულისა და არასრულწლოვნის ურთიერთობის შემთხვევათა სანქცირება.

<sup>9</sup> მომჩივანები უთითებდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებაზე *Opuz v. Turkey*, No. 33401.

საშუალებების უზრუნველყოფას, რომელიც დაკავშირებულია მოძალადეებისთვის დაზარალებულთან მიახლოების, კომუნიკაციის ან დაკავშირების აკრძალვასთან, ასევე მსხვერპლისთვის დახმარების სათანადო მომსახურების მიწოდებას (მათ შორის თავშესაფარი, ადვოკატირება და სამედიცინო დახმარება). წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის აკრძალვა მოითხოვს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ჩაერთონ ეფექტურ საგამოძიებო მოქმედებებში, როდესაც პირი აცხადებს, რომ იგი დაექვემდებარა წამებას ან არაადამიანურ მოპყრობას; შესაბამისი პირი უნდა იდენტიფიცირდეს და დაისაჯოს, როგორც დამნაშავე.<sup>10</sup>

3.4. კონვენციის 1-ლი მუხლისა და კომიტეტის N19 ზოგადი რეკომენდაციის საფუძველზე, განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ იმ დროს, როცა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საფუძვლად ედებოდა ამ საჩივარს, სახელმწიფოს არ ჰქონდა იურიდიული ნორმები, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად. ოჯახში ძალადობის სამართლებრივი დეფინიცია გაჩნდა - 2006 წლის 25 მაისის აქტში „ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ“ - სახელმწიფოს სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში. მანამდე, ოჯახში ძალადობის შესახებ საჩივრები განიხილებოდა უბნის ინსპექტორების მიერ ადმინისტრაციული ნორმების მიხედვით. ინციდენტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე განხილვის შემდეგ, ინსპექტორი წერილობით ვალდებულებას იღებდა მოძალადისგან, მომავალში აღარ ჩაედინა მსგავსი ქმედებები. ასეთი დეკლარაციები არ იყო სამართლებრივად სავალდებულო და შესაბამისად აღუსრულებელი რჩებოდა. თუ დაზარალებული დაჟინებით მოითხოვდა ოფიციალურ საჩივარს, პროკურატურა მედიატორის როლს ასრულებდა მეუღლეებს შორის, იმის მაგივრად რომ გამოეძიებინა შემთხვევა და მოძალადეს მიმართ დევნა დაეწყო. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტური სამართლებრივი ნორმების მიღება და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სოციალური მომსახურება, რომელსაც ემატებოდა სახელმწიფოს წარმომადგენელთა მარცხი, ეფექტურად გამოეძიებინა “X”-ის უამრავი საჩივარი, რომელიც მისი ქმრის მხრიდან ცოლის და შვილების მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას ეხებოდა.

---

<sup>10</sup> ამ კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე *Opuz v. Turkey* მითითებით, მომჩივნები აცხადებდნენ, რომ სასამართლოს დასკვნასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდებოდა განმცხადებლისა და დედამისის მიმართ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმეს, ბრალდების მხარე ვალდებული იყო უზრუნველყო სისხლის სამართლებრივი დევნა საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაზარალებულებმა უკან გაიტანეს საჩივარი; შესაბამისად აღნიშნული მჭიდროდ დაკავშირებულია ამ დოკუმენტთან.

3.5. განმცხადებლებმა დასძინეს, რომ მათი მდგომარეობა კარგად იყო ცნობილი პოლიციისთვის, მას შემდეგ, რაც განხორციელდა მრავალი კომუნიკაცია “X”-სა და მის ნათესავების მიმართ. 2001 წლის 23 დეკემბრის ძალადობრივი ეპიზოდებიდან დაწყებული 2004 წლის 17 ივლისის შემთხვევის კულმინაციის ჩათვლით (ორივე შემთხვევა ეცნობა პოლიციას), ფიზიკურმა შეურაცხყოფამ უფრო ხშირი ხასიათი მიიღო. “X”-ის გარდა, ბავშვები მამამისის მხრიდან სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას განიცდიდნენ, რომელიც მეუღლეებს შორის შემდგომ ჩხუბს იწვევდა. “X”-მა რამოდენიმეჯერ გამოიძახა პოლიცია, რათა დაეცვა საკუთარი თავი და შვილები, მაგრამ უსაფრთხოების გარანტიები ვერ მიიღო.

3.6. მომჩივნები აცხადებენ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პოლიციას უნდა მიეღო და დაერეგისტრირებინა “X”-ის საჩივრები, დაეწყო სისხლის სამართლებრივი გამოძიება, მოეგროვებინა მტკიცებულებები, დევნა დაეწყო მის ქმარზე და მიეღო ზომები სამომავლო ძალადობის თავიდან ასაცილებლად. თუმცა, პოლიციამ ვერ უზრუნველყო აღნიშნული ვალდებულებების შესრულება. ის საჩივრები, რომელიც უბნის ინსპექტორთან იყო შესული, არც ერთი არ დაერეგისტრირებულა, სათანადოდ არ გამოძიებულა ან დევნა არ დაწყებულა. ძალადობის გრძელი ისტორიის მანძილზე, პოლიცია ვერ უზრუნველყოფდა საჩივრებზე იმწუთიერ რეაგირებას, არ ახორციელებდა კეთილსინდისიერად მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მომჩივანების გენდერული ძალადობისგან დაცვის მიზნით. პოლიციამ და პროკურატურამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მომჩივანები მუდმივად ექვემდებარებოდნენ ძალადობას, რაც საფრთხეს უქმნიდა მათ ფიზიკური და ფსიქიკურ ჯანმრთელობას და შესაბამისად ეკისრებოდათ ძალადობის აღკვეთის მოვალეობა.

3.7. ამას გარდა, განმცხადებლები დასძენენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეფექტური რეაგირება ვერ მოახდინეს ოჯახში ძალადობაზე, რაც იკვეთება ასევე “X”-ის 2004 წლის 14 ივნისის საჩივრის გამოძიების შემთხვევიდანაც. ქალი ასაჩივრებდა თავისი შვილების ცემის ფაქტებს და ქმრის შეუსაბამო საქციელს Y-ის მიმართ. საჩივარი უარყოფილ იქნა რამდენიმე შემთხვევაში, როგორც „ამკარად დაუსაბუთებელი“, „უსაფუძვლო“ ან „მამას არ გადაუმეტებია ოჯახში შვილებთან მოქცევის ნორმალურ ფარგლებს“. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უბრალოდ შეაგროვეს მხარეთა ჩვენებები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გარეშე, მხედველობაში არ მიუღიათ რა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, ადრე არსებული საჩივრები.

3.8. მომჩივნები აცხადებენ, რომ ბავშვებს რამდენიმე ჩვენება ჩამოართვეს სკოლის ფსიქოლოგის თანდასწრებით. შვილებმა დაადასტურეს ცემის ფაქტები, “Y”-მა აღწერა ის შემთხვევები, როცა მამამისი ეხებოდა მის სასქესო ორგანოებს და ცემდა მას. თუმცა, პროკურორებს ეჭვი შეჰქონდათ “Y”-ის განცხადებებში და სკოლის ფსიქოლოგს სთხოვეს ბავშვების შეფასება. ფსიქოლოგმა დაადგინა, რომ “Y”-ის ჩვენება იყო განმეორებადი, ემოციური, იყენებდა ისეთ ტერმინოლოგიას, რომელიც არ შეესაბამებოდა ბავშვის სოციალურ გარემოს, განათლებას ან ასაკს. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ პროკურორები ეყრდნობოდნენ ზემოთ აღნიშნულ დასკვნებს, ფსიქოლოგის გამოცდილების, კვალიფიკაციის და ცოდნის შემოწმების გარეშე, მაშინ როცა ასეთი დასკვნა უნდა მიეღოთ პრაქტიკული გამოცდილების მქონე ფსიქოლოგისგან.

3.9. განმცხადებლები უთითებდნენ, რომ პროკურორები ასევე დაინტერესდნენ X-ის და მისი ქმრის ფსიქიკური ჯანმრთელობით. თბილისის ფსიქონევროლოგიურმა დისპანსერმა ქმრის დიაგნოსტიკის შედეგად დაადგინა, რომ იგი იყო ფსიქიკურად ჯანმრთელი, მაგრამ აგზნებული და გაღიზიანებული. თბილისის სხვა ფსიქონევროლოგიურმა დისპანსერმა დაასკვნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ “X” არ იყო რეგისტრირებული, როგორც ფსიქიკურად ავადმყოფი, „ეს არ არის საკმარისი იმის აღიარებად, რომ პირი არის ფსიქიკურად ჯანმრთელი“. უცნობი თარიღით, თბილისის N5 კლინიკურმა საავადმყოფომ “X”-ს დაუდგინა ნევრასთენია და დაუნიშნა შესაბამისი მკურნალობა. მომჩივნები უთითებდნენ, რომ „ეს სერტიფიკატები გამოთხოვილ იქნა პრაქტიკოსებისგან და არა ექსპერტებისგან, შესაბამისად მოხდა განმცხადებლების არა ინდივიდუალური, არამედ ზოგადი შეფასება“.

3.10. განმცხადებლები ასევე აღნიშნავენ, რომ პროკურორებმა, როცა უარი თქვეს “X”-ის საჩივარზე, მხედველობაში მიიღეს მისი ქმრის მიმართ გაცემული რეკომენდაციები, როგორც სტუდენტის და ბიზნესმენის, ე.ი. ოჯახის გარეთ მისი როლიდან გამომდინარე. ის ფაქტი, რომ “X”-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება და ადრე მუშაობდა მუსიკის მასწავლებლად, ხოლო შემდეგ ბავშვების აღზრდის გამო თავი დაანება მუშაობას არ ყოფილა გათვალისწინებული. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ დაზარალებულთან შედარებით, ქმრის განათლებისთვის უპირატესობის მინიჭება და ოჯახის გარეთ მისი დადებითი შეფასება, გამომძიებელს აძლევდა სუბიექტურ, დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას დაზარალებულის საჩივართან მიმართებით და ქმნიდა მიკერძოების საფრთხეს. პროკურორები ორიენტირებულები იყვნენ, “X”-ის ჩვენებებში, ქცევასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ხარვეზების აღმოჩენაზე, იმის

ნაცვლად, რომ მოეგროვებინათ და დაემუშავებინათ მტკიცებულებები მის საჩივართან დაკავშირებით. განმცხადებლები და ოჯახის ყველა სხვა წევრი, ქმრის/მამის გარდა ნეგატიურად იყო შეფასებული პროკურორის რეზოლუციებში, რომელიც არ ეხებოდა „X“-ის მიმართ ოჯახში ძალადობის ადრინდელ ფაქტებს და არ აკონკრეტებდა იმ საჭიროებებს, რომელიც აუცილებელი იყო ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შესაფასებლად. არც ერთ ეტაპზე, სოციალური მომსახურება არ მიეწოდა ოჯახს დახმარებისთვის. პროკურორების მიერ, „X“-ის საჩივრის - მისი შვილების მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ განუხილველობასთან დაკავშირებით, წაართვა პროცესს ეფექტურობისა და მნიშვნელობის განცდა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა საჩივარში იკვეთებოდა ბავშვების მიმართ ძალადობრივი დამოკიდებულება, პროკურორებს ეს უმნიშვნელოდ მიაჩნდათ.

3.11. საჩივრის ავტორები ამტკიცებენ, რომ წლების განმავლობაში, ოჯახში არსებული ძალადობა წარმოადგენდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამ ქმედებების ეფექტურად აღკვეთა და დაზარალებულთა დაცვა.<sup>11</sup> „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ კონვენციაზე მითითებით, მომჩივნები აცხადებენ, რომ წამების ყველა აუცილებელი შემადგენელი ელემენტი არსებობს ამ საქმეში: ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილი და ტანჯვა („X“ თავის საჩივარში პროკურორებს უთითებდა, რომ იგი თანდათან კარგავდა თვითშეფასებას როგორც დედა და დიასახლისი, რადგან მისი ქმარი მუდმივად აკრიტიკებდა და შეურაცხყოფას აყენებდა მას, და ამასთან ერთად, ქალი მორალურ შეურაცხყოფას განიცდიდა; Y-მა აღნიშნა, რომ მამამისი, მას, როგორც ქალიშვილს ისე არ ეაღიერებოდა და რომ იგი იყო შერცხვენილი და ეშინოდა მასთან ერთად სახლში მარტო დარჩენის, რადგან მამამისს შეეძლო იგი ეცემა); განზრახვა (ორივე განმცხადებელი რამდენიმეჯერ იყო ნაცემი და ძალადობის მსხვერპლი ქმრის/მამის მიერ, რომელიც ფიზიკური ძალადობის და დაშინების მეშვეობით ცდილობდა მათზე კონტროლის მოპოვებას; პოლიციამ ვერ უზრუნველყო მათი დაცვა, რამაც დამნაშავეს დაუსჯელობა გამოიწვია); და სახელმწიფოს ჩართულობა (2006 წლამდე არ არსებობდა ცხადი სამართლებრივი ჩარჩო, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით და კანონის მიღების შემდეგაც ოჯახში ძალადობა ზოგჯერ კერძო შემთხვევად

<sup>11</sup> მომჩივნები აცხადებენ, რომ რადგან არ არსებობს ამომწურავი სია ძალადობის იმ ფორმებისა, რომელიც წარმოადგენს წამებას, წამებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სპეციალურმა მომხსენებლებმა, ასევე ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაასკვნა, რომ ოჯახში ძალადობა შეიძლება წარმოადგენდეს წამების ერთ-ერთ ფორმას.

განხილვობდა). მომჩივნების განცხადებით, სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულობა და ამავე დროს მათი უმოქმედობა, ავტომატურად ხელს უწყობდა დამნაშავეს ძალადობრივ ქმედებებს, ასეთი ფაქტების აღკვეთის გარეშე, დაზარალებულებისთვის თავშესაფრის მიცემისა და საჩივრების გამოძიების შეთავაზებით.

## **სახელმწიფოს შეთავაზება მორიგების თაობაზე და განმცხადებლების კომენტარები ამის შესახებ**

4.1. 2011 წლის 5 სექტემბერს, სახელმწიფომ წარადგინა წინადადება საჩივრის ავტორებთან, მორიგების დადების შესახებ. მოპასუხე სახელმწიფო აღნიშნავს, რომ იგი სრულად უჭერს მხარს კონვენციაში ასახულ პრინციპებს. სახელმწიფო აღიარებს, რომ 2004-2005 წლებში (როდესაც ძალადობა მოხდა), მისი სამართლებრივი სისტემა ახორციელებდა ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზებას კონვენციის მოთხოვნებთან, მაგრამ აცხადებს, რომ კონვენციის მთავარი პრინციპები, ამ დროის განმავლობაში, მთლიანად იმპლემენტირებული იყო ეროვნულ დონეზე. სახელმწიფო დასძენს, რომ გამოძიების პროცესში აღმოჩენილმა გარკვეულმა ხარვეზებმა, შესაძლოა, საფუძველი დაუდეს მომჩივანთა უფლებრივ დარღვევებს. ამ კუთხით, სახელმწიფო მოუწოდებს განმცხადებლებს და მათ წარმომადგენლებს ჩაერთონ საქმის მორიგების პროცედურების განხილვებში.

4.2. 2011 წლის 21 ოქტომბერს, მომჩივანთა წარმომადგენლებმა დაადასტურეს განმცხადებლების სურვილი - ჩართულიყვნენ მორიგების შესაძლო პროცედურებში. 2012 წლის 22 აპრილს, აპლიკანტთა ადვოკატმა აცნობა კომიტეტს, სახელმწიფოს წარმომადგენლებთან გამართული განხილვების შესახებ. 20 ივნისს, “X”-მა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა არავითარი განვითარება ამ შეხვედრებს არ მოჰყოლია.<sup>12</sup>

## **მხარეთა დამატებითი კომენტარები**

5.1. 2012 წლის 22 აგვისტოს, მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მათი განაცხადი, 2008 წლის 9 დეკემბერს, უარყოფილ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამი მოსამართლისგან შემდგარი კომიტეტის მიერ, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, მიღებული გადაწყვეტილების განმარტების გარეშე. 17 სექტემბერს, მომჩივნებმა წარადგინეს, 2007 წლის 14 მარტს ევროსასამართლოში მათი შეტანილი

---

<sup>12</sup> მორიგების პროცედურებთან დაკავშირებული განხილვების შესახებ, მხარეთა მიერ არ ყოფილა შემდგომი დეტალები მიწოდებული.

განაცხადისა და 2008 წლის 9 დეკემბრის - სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი.

5.2. 2013 წლის 4 იანვარს, სახელმწიფომ, კომიტეტში გაასაჩივრა განაცხადის დასაშვებობა, კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-4 (2) მუხლის თანახმად, რადგან განმცხადებლებმა „X“-ის ერთ-ერთ ვაჟთან ერთად, 2007 წლის 14 მარტს, მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელმაც შეისწავლა საქმე და 2008 წლის 9 დეკემბერს, განაცხადი დაუშვებლად ცნო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) 34-ე და 35-ე მუხლების შესაბამისად.

5.3. 2013 წლის 25 მარტს, მომჩივნებმა წარადგინეს მათი არგუმენტები სახელმწიფოს პასუხზე. ისინი აცხადებენ, რომ სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული საჩივარი ეფუძნება გენდერული ნიშნით ჩადენილ ოჯახში ძალადობას და სქესობრივ დისკრიმინაციას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის აღკვეთის შეუძლებლობასთან. აღნიშნულის საპირისპიროდ, მათი განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არ ეხებოდა გენდერულ დისკრიმინაციას, არამედ „Y“-ის და მისი ძმის მიმართ განხორციელებული ძალადობის შედეგებს და „X“-ისთვის მიყენებულ ზიანს, რადგან, როგორც დედას, არ შეეძლო საკუთარი შვილების დაცვა. ასეთი განსხვავება გამოიწვია, მხარეთა ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საჩივრების სხვადასხვაობამ. სასამართლოს წინაშე, საჩივრის ავტორები გენდერული თუ სხვა ნიშნით ჩადენილი დისკრიმინაციის შესახებ არ დაობდნენ და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევაზე არ უთითებდნენ (დისკრიმინაციის აკრძალვა), არამედ ფოკუსირებულნი იყვნენ, „Y“-ის და მისი ძმის მიმართ განხორციელებული ძალადობის შედეგად დამდგარ პიროვნულ გავლენაზე. საჩივარში ასევე აღნიშნული იყო, რომ „X“ წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლს, რადგან მას არ შეეძლო თავისი შვილების დაცვა ასეთი ძალადობისგან. განაცხადი ეფუძნებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მუხლების დარღვევებს. აღნიშნული საპირისპიროა, კომიტეტის წინაშე არსებულ მათ ამჟამინდელ საჩივართან, რომელიც ეხება გენდერული ნიშნით ჩადენილ დისკრიმინაციას. (იხ: პარ. 3.1).



## დასაშვებობის შესახებ კომიტეტის წინაშე არსებული საკითხები და საქმის წარმოება

6.1. 2013 წლის 26 ივლისს, კომიტეტმა, 55-ე სესიაზე, განიხილა საჩივრის დასაშვებობა. კომიტეტმა აღნიშნა, რომ დამატებითი ოქმის მე-4 (2) (ა) მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, საჩივარი, რომელიც 2007 წლის მარტში წარდგენილ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, განაცხადის ავტორებისა და „X“-ის ერთ-ერთი ვაჟის მიერ (მეორე განმცხადებლის ძმა) და სასამართლოს გადაწყვეტილება დაუშვებლობის შესახებ, ეყრდნობოდა, განაცხადის აშკარად დაუსაბუთებლობას და მასში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების შედეგად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების დაურღვევლობის შესახებ დასკვნას. კომიტეტმა ასევე აღნიშნა, მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტები საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით. კომიტეტის წინაშე მდგარი მთავარი საკითხი მდგომარეობდა იმაში, წარმოადგენდა თუ არა მომჩივანთა მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადი „იმავე საკითხს“, რომელსაც ეხებოდა კომიტეტში შეტანილი საჩივარი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, „განხილული“ ჰქონდა თუ არა სასამართლოს იგი.

6.2. კომიტეტს თავდაპირველად უნდა განეხილა ის შემთხვევა, ეხებოდა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადის „იმავე საკითხი“, იმავე პირის მიერ კონკრეტული უფლებრივი დარღვევის შესახებ ერთსა და იმავე საჩივარს. შესაბამისად, კომიტეტს თავდაპირველად უნდა დაედგინა აღნიშნულ საქმეში „იმავე საკითხი“ ეხებოდა თუ არა იმავე ფაქტებს, იმავე პირებს და იმავე ძირითად უფლებებს.

6.3. კომიტეტმა აღნიშნა, მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ორივე საჩივარი იყო „სრულად მსგავსი, რადგან ორივე შემთხვევაში მოცემული უფლებები არსებითად მსგავსია“. მომჩივნები ითხოვდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მუხლების დარღვევის საფუძველზე ზიანის ანაზღაურებას, მაშინ როცა ამჟამინდელ საქმეში, მომჩივნები უთითებდნენ „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის 1-ლი, მე-2 (ბ) - მე-2(ვ), მე-5 (ა) მუხლებით გარანტირებული უფლებების დარღვევებს. მოპასუხე სახელმწიფოს მიხედვით, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული არსებული გადაწყვეტილი დავების ხელახალი განხილვა, აუცილებელი იყო დავის შინაარსობრივი და არა ფორმალური მხარის შემოწმება.

6.4. კომიტეტმა ასევე აღნიშნა, მომჩივანთა არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ საჩივართა მსგავსების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და კომიტეტის წინაშე სადავოდ გამხდარი ფაქტები განსხვავებული იყო. კომიტეტმა დასძინა, რომ ამასთან, აღნიშნული საჩივარი ეფუძნება გენდერული ნიშნით ჩადენილ ოჯახში ძალადობას და სქესობრივ დისკრიმინაციას, რომელიც ებმის სახელმწიფოს მიერ ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის აღკვეთის შეუძლებლობას. აღნიშნულის საპირისპიროდ, მათი განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ ეხებოდა გენდერულ დისკრიმინაციას, არამედ “Y”-ის და მისი ძმის მიმართ განხორციელებული ძალადობის შედეგებს და “X”-ისთვის მიყენებულ ზიანს, რომელსაც, როგორც დედას, არ შეეძლო საკუთარი შვილების დაცვა; ასეთი განსხვავება გამოიწვია მხარეთა, ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საჩივრების სხვადასხვაობამ. მომჩივნებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ სასამართლოს წინაშე, მათ არ მიუთითებიათ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევის შესახებ.

6.5. კომიტეტმა შეისწავლა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი საჩივარი და იქ გამართული სასამართლო სხდომები და აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორები ევროპული სასამართლოს წინაშე არ დაობდნენ სქესის ან რაიმე სხვა ნიშნით დისკრიმინაციაზე და რომ მათ არ დაუყენებიათ მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევის საკითხი, მაშინ, როდესაც მიმდინარე საჩივრის განხილვის მთავარი თემა სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაცია იყო. ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივარი ყურადღებას ამახვილებდა ორი ბავშვის წინააღმდეგ ჩადენილ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობაზე, სახელმწიფო წარმომადგენლების უუნარობაზე, დაეცვათ ბავშვები და დაესაჯათ დამნაშავე, აგრეთვე, იმ „მორალურ ზიანსა და ტანჯვაზე“, რომელიც „X“-მა განიცადა, როგორც დედამ, რომელმაც „ვერ შეძლო შვილები ამგვარი მოპყრობისაგან დაეცვა“. სასამართლოს წინაშე განსახილველად არ ყოფილა წარდგენილი საჩივარი ხშირად განმეორებადი ოჯახური ძალადობის შესახებ, რომლის მსხვერპლიც იყო „X“, 1996 წლიდან 2004 წლამდე. „X“-ის შვილი (და მეორე მომჩივნის ძმა), რომელიც აგრეთვე გახლდათ ძალადობის მსხვერპლი, ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივრის მხარე იყო, თუმცა აღნიშნულ საჩივარში იგი მხარეს არ წარმოადგენდა.

6.6. კომიტეტმა აღნიშნა, რომ მოცემული ორი საჩივარი ერთსა და იმავე მატერიალურ-სამართლებრივ უფლებასთან არ იყო დაკავშირებული, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნულ საჩივარში მომჩივნები დაობდნენ თანასწორობისა და

დისკრიმინაციის აკრძალვასთან მიმართებით, მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ეს უფლებები არ იყო გასაჩივრებული.

6.7. შესაბამისად, კომიტეტმა დაადგინა, რომ არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა „იგივე საკითხი“ და, ამრიგად, მიმდინარე საჩივრის შესწავლა თავიდან ვერ იქნებოდა აცილებული, დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. კომიტეტმა მიიჩნია, რომ, კონვენციის 1-ლი, მე-2 (ბ)- მე-2 (ვ) და მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტების თანახმად, საჩივრის ავტორებმა, მოთხოვნა დასაშვებობის კუთხით საკმარისად დაასაბუთეს და საჩივარი დასაშვებად ცნო.

### **სახელმწიფოს არგუმენტები საქმის არსებითი მხარის შესახებ**

7.1. 2013 წლის 9 დეკემბერს, სახელმწიფომ საქმის არსებითი მხარის შესახებ საკუთარი არგუმენტები წარმოადგინა. მათი განცხადებით საჩივრის ავტორებმა ვერ უზრუნველყვეს წარმოდგინათ დასაბუთებული არგუმენტები, რათა მხარი დაეჭირათ იმ ბრალდებისთვის, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ლი, მე-2(ბ)-2(ვ) და მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას კომიტეტის N19 ზოგად რეკომენდაციასთან ერთად.

7.2. სახელმწიფო ამტკიცებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეასრულეს კონვენციის მიხედვით მათთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები და ამის დასადასტურებლად მიუთითეს მათ მიერ ჩატარებულ გამოძიებაზე.

7.3. სახელმწიფო იმეორებს ფაქტებს და მიუთითებს „X“-ის მიერ 2004 წლის 16-30 ივნისის პერიოდში წარდგენილ საჩივრებზე. 30 ივნისს, რაიონული პროკურატურის თანამშრომელმა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, უარი განაცხადა „X“-ის მეუღლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის აღძვრაზე, რაც განპირობებული იყო წინააღმდეგობებით აღსავსე წერილობითი ახსნა-განმარტებით და გამოძიების დროს გამოკვეთილი შეუსაბამობებით. გამოძიების დროს უკანონო ქმედება არ გამოვლენილა.

7.4. სახელმწიფო, აგრეთვე, მითითებს აკეთებს „X“-ის მეზობლის, „კ“-ს მიერ, რაიონულ პროკურატურაში, 30 ივნისს წარდგენილ საჩივარზე. მეზობელი ამტკიცებდა, რომ 2002 წლის 30 დეკემბერს, „X“-ის ბინაში წყალი ჩავიდა; რის გამოც

მეუღლე თავს დაესხა შვილებს და ბინა დააზიანა. მან პროკურორებს განუცხადა, რომ „X“-ის პატივისცემის გამო, თავდაპირველად მან თავი შეიკავა ინციდენტის თაობაზე პოლიციაში განცხადების გაკეთებისაგან, თუმცა, როდესაც შეიტყო, რომ „X“ აპირებდა მეუღლის წინააღმდეგ საქმის აღძვრას, „კ“-მ გადაწყვიტა ჩვენების მიცემით დახმარებოდა მას. მიუხედავად ამისა, 2004 წლის 7 ივლისს, მეზობელმა განაცხადა, რომ მას სურდა უარი ეთქვა საკუთარ ჩვენებაზე და ამის მიზეზად მიუთითა, რომ მან ინციდენტის შესახებ განაცხადი „X“-ის მოთხოვნით წარადგინა. სახელმწიფო ამტკიცებს, რომ ამ ფაქტების გათვალისწინებით, გამოძიების შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები და წინააღმდეგობრივი განცხადებები, მიუთითებს საქმის არათანმიმდევრულობაზე და რომ „X“-ის მეუღლის მხრიდან რაიმე სახის უკანონო ქმედების არსებობის დამტკიცება რთულია.

7.5. სახელმწიფო აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც საჩივრის ავტორებმა 2004 წლის 7 ივლისს წარმოადგინეს მეორე წერილობითი ახსნა-განმარტება, რაიონული პროკურატურის საგამოძიებო ორგანოებმა, „X“-ის მეუღლეს მოსთხოვეს, საკუთარ თავზე აეღო ვალდებულება, დაეცვა კანონი და შეურაცხყოფა არ მიეყენებინა ოჯახის წევრებისათვის.

7.6. 2004 წლის 15 ივლისს, ქმარმა რაიონულ პროკურატურაში წარადგინა განცხადება, სადაც იგი აცხადებდა, რომ მის მეუღლეს აგრესიული ფსიქოზის დიაგნოზი დაუსვეს; მან განცხადებაში აღწერა თავდასხმები, რომლებიც ცოლმა მასზე, სახლსა და სამსახურში, განახორციელა და პროკურორებს მოსთხოვა, რომ დაეცვათ იგი ამგვარი ფიზიკური ძალადობისაგან და უზრუნველყოთ მისი ცოლისთვის ფსიქოლოგიური მკურნალობის ჩატარება.

7.7. 2004 წლის 14 და 15 ივლისს, რაიონულმა პროკურატურამ თბილისის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერს მოსთხოვა მათთვის მიეწოდებინა „X“-ის და მისი ქმრის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ჩანაწერები. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია ქმრის დიაგნოზის - „მძიმე ხასიათის აქცენტუაციის“) შესახებ. გარდა ამისა, 16 ივნისს უბნის ინსპექტორმა, „X“-ს მოსთხოვა დისპანსერში გამოკვლევის ჩატარება, თუმცა მან უარი განაცხადა.

7.8. მას შემდეგ რაც „X“-მა გაასაჩივრა რაიონული პროკურატურის 2004 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება, 4 ოქტომბერს, ისანი-სამგორის სასამართლომ ბათილად ცნო აღნიშნული გადაწყვეტილება, დაადგინა რა, რომ, სხვა საკითხებთან ერთად პროკურორები დაეფუძნენ მხოლოდ ქმრის წერილობით ახსნა-განმარტებას; აგრეთვე, ოჯახის სხვა არასრულწლოვანი წევრები ან მოწმეები არ ყოფილან დაკითხულნი და

არც ერთი სამართლებრივი ღონისძიება არ ყოფილა გატარებული, რათა დაედგინათ „X“-ის და მისი მეუღლის ფსიქოლოგიური სტატუსი. სახელმწიფოს დასკვნით, გადაწყვეტილება მიუთითებს, რომ ეროვნულმა სასამართლო ხელისუფლებამ გამოავლინა სურვილი დროულად, საფუძვლიანად, მიუკერძოებლად და სერიოზულად გამოეძიებინა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ბრალდებები, ისე როგორც დადგენილია კომიტეტის პრეცედენტული სამართლით, სქესზე დაფუძნებული რაიმე განსხვავების, გამონაკლისის ან შეზღუდვის განხორციელების გარეშე.<sup>13</sup>

7.9. სახელმწიფო ყურადღებას ამახვილებს „X“-ის მიერ 2004 წლის 18 ოქტომბერს გაკეთებულ განცხადებაზე, რომ მისი უფროსი შვილი - „დ“, მამასთან ერთად რეგულარულად მუშაობდა მარკეტში. შესაბამისად, მას არ ადარდებდა, რომ მის ქმარს შეეძლო შვილისთვის ზიანი მიეყენებინა. ამრიგად, სახელმწიფო აცხადებს, რომ მოცემული განცხადება, „X“-ის წინა განცხადებას ბუნდოვნად და დაუსაბუთებლად წარმოაჩენს.

7.10. გარდა ამისა, ფსიქოლოგის თანდასწრებით განხორციელებულმა არასრულწლოვანთა და, აგრეთვე, ბავშვების სკოლის მასწავლებლის დაკითხვამ გამოავლინა დამატებითი ფაქტები, რომელიც საჩივრის ავტორის ჩვენებებისაგან განსხვავდებოდა. „Y“-მა ფსიქოლოგს უთხრა, რომ სამი წლის წინ, როდესაც ის ძმასთან, „T“-სთან, და მამასთან ერთად თელავში მიდიოდა, მამას ისინი არ უცემია და არც შეუსაბამოდ მიაღერებია. „T“-მ უარყო ბრალდება, რომ მამამ ისინი თელავში წაიყვანა, თუმცა განაცხადა, რომ ის ორი კვირის განმავლობაში მამასთან და ძმასთან - „A“-სთან ერთად, თელავში, დედის სახლში ცხოვრობდა. მისი განცხადებით, ამ პერიოდის განმავლობაში მამას ისინი არ უცემია. სახელმწიფო მიუთითებს, რომ ჩვენება, აგრეთვე, ცხადყოფს, რომ „X“ არ წუხდა ბავშვების მამასთან მართო დატოვების გამო.

7.11. უფროსი ძმები „D“ და „S“ დაკითხვის დროს აცხადებდნენ, რომ ისინი არ შესწრებიან მამის მხრიდან რაიმე შეუსაბამო ქმედებას და რომ მათ, ამის შესახებ მხოლოდ დედისა და ბებუისგან შეიტყვეს. ძმებმა შემდგომში მიუთითეს, რომ დედა და ბებია ხშირად ესაუბრებოდნენ მათ პედოფილიაზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ამტკიცებს, რომ ბავშვები გარკვეულწილად დედისა და ბებუის მიერ იყვნენ იდეოლოგიურად დამუშავებულები, რამაც განაპირობა ის, რომ მათ მამის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება.

<sup>13</sup> სახელმწიფო მიუთითებს N 2/2003 საჩივარზე, A.T. v. Hungary, მიღებული 2005 წლის 26 იანვარს.

7.12. დაკითხვის დროს უმცროსმა ძმამ, „A“-მ, განაცხადა, რომ დედას და ბებიას სურდა მამისათვის ბიზნესის ჩამორთმევა, რათა იქ უფროს ძმას ემუშავა და ოჯახს დახმარებოდა. სახელმწიფოს თანახმად, ეს განცხადება ეჭვებს წარმოშობდა საქმის გარემოებების მიმართ და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა საჩივრის ავტორების მიერ წარდგენილ ბრალდებებს.

7.13. ფსიქოლოგმა, რომელიც დაკითხვებს დაესწრო, სხვა ფაქტებთან ერთად დაადგინა, რომ ბავშვები ტრამული საკითხების შესახებ არაემოციურად საუბრობდნენ, დაზეპირებული ფრაზებით, იმგვარი ტერმინოლოგიით, რომელიც არ შეესაბამებოდა მათ ასაკს. ფსიქოლოგმა, აგრეთვე, მიუთითა, რომ მომხდართან დაკავშირებით „X“-ის და დედამისის დაგვიანებულმა რეაგირებამ, ფაქტები განსაკუთრებით საეჭვო გახადა. ფსიქოლოგმა დაასკვნა, რომ ბავშვები არ ავლენდნენ რაიმე ემოციას და რომ არსებობდა მაღალი ალბათობა იმისა, რომ ისინი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

7.14. 2004 წლის 7 ნოემბერს რაიონულმა პროკურატურამ, მიუთითა რა ჩატარებულ დაკითხვებზე, ფსიქოლოგის დასკვნასა და სხვა საეჭვო შეუსაბამობებზე, უარი განაცხადა „X“-ის მეუღლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის დაწყებაზე და დაადგინა, რომ ბავშვები დედის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და რომ არალოგიკური იყო, „X“-ს მისი ქმარი პედოფილიაში დაედანაშაულებინა და ამასთანავე, ბავშვებისთვის ნებართვა მიეცა მამასთან ერთად ემუშავათ და ღამით მასთან ერთად სხვა ქალაქში დარჩენილიყვნენ.

7.15. აღნიშნული გადაწყვეტილება, თბილისის პროკურატურამ გააუქმა, რომელმაც, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითა, რომ მეზობლები და ქმრის თანამშრომლები დაკითხულნი არ ყოფილან და რომ დაკითხვა არ ჩატარებულა „X“-ის მიერ გავლილი ნევროპათოლოგიური მკურნალობის შესახებ. სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ მიუთითებდა ხელისუფლების წარმომადგენლების სურვილზე, გამოძიება მიუკერძოებლად და დროულად ჩატარებინათ.

7.16. მეზობლებმა და თანამშრომლებმა შემდგომში მისცეს ჩვენება, რომ „X“-ის ქმარი პათიოსანი კაცი იყო, რომელიც ზრუნავდა საკუთარ ოჯახზე და რომ მათ არასდროს შეუმჩნევიათ მისი მხრიდან ბავშვების მიმართ რაიმე შეუსაბამო ქცევა. ზოგიერთი ასევე აცხადებდა, რომ „X“ ძალიან ეჭვიანი ქალბატონი იყო, რომელიც ქმრის შესახებ ჭორებს ავრცელებდა და მას სახელს უტეხდა. დამატებით, დაიკითხა ექიმი, რომელიც „X“-ს მკურნალობდა. მან დაადასტურა „X“-სთვის ნევრასთენიის დიაგნოზის დასმა და აღწერა ის მკურნალობა, რომელიც მას ჩაუტარდა.

7.17. ზემოთხსენებული დაკითხვების საფუძველზე, რაიონულმა პროკურატურამ უარი განაცხადა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე. 2005 წლის 11 თებერვალს, თბილისის პროკურატურამ ეს გადაწყვეტილება ბათილად ცნო. აღნიშნულის საფუძველი გახლდათ ის, რომ ქმრის ექიმი არ ყოფილა დაკითხული მისი პაციენტის მძიმე ფორმის აქცენტუაციისა და პიროვნული აშლილობის შესახებ, აგრეთვე, უნდა დაკითხულიყო საჩივრის ავტორების სართულზე მცხოვრები ყველა მეზობელი და მოპოვებული ყოფილიყო ინფორმაცია „X“-ისა და მისი ქმრის სოციალურ სტატუსთან და სწავლასთან დაკავშირებით.

7.18. ამრიგად, დაიკითხა „X“-ის ქმრის ექიმი. მან განაცხადა, რომ დაავადების ის ფორმა, რაც მის პაციენტს ახასიათებდა, არ წარმოადგენდა ფსიქიკური აშლილობის ან სექსუალური მანკიერების საფუძველს, თუმცა პირები, რომელთაც აწუხებდათ ასეთი აქცენტუაცია, ადვილად ღიზიანდებოდნენ და მიდრეკილნი იყვნენ, მარტივი საკითხების შესახებ ჩხუბის დაწყებისკენ. თავის მხრივ, მეზობლებმა ოჯახი დადებითად დაახასიათა და ისინი წესიერ ოჯახად მოიხსენია, ხოლო ქმრის დამსაქმებელმა განაცხადა, რომ იგი პატიოსანი კაცი იყო. სახელმწიფომ განაცხადა, რომ საქმეში ახალი გარემოებები არ გამოვლენილა.

7.19. სახელმწიფო შემდგომში იმეორებდა, რომ საქმე განხილულ იქნა და არ დაკმაყოფილდა 2005 წლის 4 აგვისტოს - მთავარი პროკურატურის, 29 ნოემბერს - თბილისის პირველი ინსტანციის სასამართლოს და 2006 წლის 7 თებერვალს - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.

7.20. შესაბამისად, სახელმწიფო ასკვნის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კონვენციის თანახმად, მათთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების ყველა კომპონენტი შეასრულეს. დამატებით, სახელმწიფო შენიშნავს, რომ გარემოებები არ მიუთითებს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაზე და რომ ყველა საგამოძიებო პროცედურა წარიმართა დროულად და მიუკერძოებლად, კონვენციის შესაბამისი მუხლების და კომიტეტის პრეცედენტული სამართლის შესატყვისად.

### **საჩივრის ავტორების კომენტარები სახელმწიფოს არგუმენტების შესახებ**

8.1. 2014 წლის 17 ნოემბერს, საჩივრის ავტორებმა, საქმის არსებითი მხარის შესახებ სახელმწიფოს არგუმენტებთან დაკავშირებით, კომენტარები წარადგინეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო საკუთარი არგუმენტების დასაბუთება და, საერთო ჯამში, ვერ გაუმკლავდა საქმის არსს.

8.2. საჩივრის ავტორების მოსაზრებით, სახელმწიფომ არ განიხილა ძირითადი საკითხი - „ოჯახში განმეორებითი ძალადობა“ და რამდენიმე ფაქტის იგნორირება მოახდინა. კერძოდ, აღნიშნულ შემთხვევას წარმოადგენდა „X“-ის გაუპატიურება და შემდგომ მისი იძულება მოძალადეს ცოლად გაჰყოლოდა; აგრეთვე, ის, რომ 1996 წლიდან იგი გამუდმებით იტანჯებოდა და მის მიმართ ადგილი ჰქონდა ძალადობას, ბავშვები განუწყვეტლივ ძალადობის ქვეშ იმყოფებოდნენ, რაც მოიცავდა მათთვის სხვადასხვა საგნების ჩარტყმას (აღნიშნულ ძალადობას კონკრეტულად „Y“-ს მიმართ ჰქონდა ადგილი, იმის გათვალისწინებით, რომ მას რეგულარულად სცემდნენ, უყვიროდნენ და აჯანჯღარებდნენ, დასჯის სახით კარებში თითებს უყოლებდნენ და იგი სექსუალური ძალადობის სუბიექტი გახლდათ). სახელმწიფოს არ უხსენებია აღნიშნული ფაქტები და არც მისი სამართლებრივი ვალდებულება განუხილავს, რაც აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარეობდა. მიუხედავად ამისა, ძალადობას ადგილი ჰქონდა წლების განმავლობაში და ხელისუფლების წარმომადგენლების უმოქმედობამ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიების მიმართ სერიოზული ეჭვები წარმოქმნა.<sup>14</sup>

8.3. საჩივრის ავტორები დაობდნენ, რომ სახელმწიფოს არგუმენტები გამოხატავდა, მათ მიერ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების ფუნდამენტალურ დონეზე არასწორ აღქმას, რაც ცხადი გახდა სახელმწიფოს მიერ გამოძიებისა და სასამართლო გადაწყვეტილების მიუკერძოებლად და სრულყოფილად წარმოჩენით. მაგალითად, „X“-ის განცხადებამ, რომ იგი ფიქრობდა, მისი ქმარი ბავშვებს ზიანს საჯაროდ არ მიაყენებდა, სახელმწიფო იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „X“-ის ძველი საჩივრები ბუნდოვნად და უსაფუძვლოდ მიეჩნია. საჩივრის ავტორებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული არ იყო რაციონალური და იგი ცხადყოფდა საჩივრის ავტორების მიმართ მიკერძოებას ან წინასწარშექმნილ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით თუ როგორ იქცევინა ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი.<sup>15</sup> ხელისუფლების წარმომადგენლების გადაწყვეტილებით, დაეხურათ საქმე, ვინაიდან მეზობლების ჩვენებები არ მიუთითებდა ახალ გარემოებაზე, მტკიცების ტვირთს მომჩივნებს აკისრებდა. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნებს უკვე წარმოდგენილი ჰქონდათ ფაქტების დამადასტურებელი მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, მათ მტკიცების ძალიან მაღალ ტვირთს აკისრებდა.<sup>16</sup>

<sup>14</sup> საჩივრის ავტორებმა მიუთითეს N20/2008, V.K. v. Bulgaria გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიღებულ იქნა 2011 წლის 25 ივლისს, პარ.9.9.

<sup>15</sup> საჩივრის ავტორებმა მიუთითეს N20/2008, V.K. v. Bulgaria, პარ.9.9 და 9.11, და N18/2008, Vertido v. the Philippines გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიღებულ იქნა 2010 წლის 16 ივლისს, პარ. 8,3 და 8,4.

<sup>16</sup> იბ., V.K. v. Bulgaria, მით. ზემოთ, პარ. 9.9.



8.4. საჩივრის ავტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა დისკრიმინაციის ფორმა იყო, რომელიც სერიოზულად უშლიდა ხელს მდებარეობითი სქესის წარმომადგენლებს, საკუთარი უფლებებითა და ვალდებულებებით სარგებლობაში.<sup>17</sup> ამრიგად, ისინი აცხადებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო კეთილსინდისიერად ემოქმედა, რათა მოეხდინა სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის პრევენცია, მისი გამოძიება და დამნაშავეის დასჯა, როგორც მოცემულია კომიტეტის N28 ზოგადი რეკომენდაციის მე-19 პარაგრაფში.

8.5. საჩივრის ავტორები მიუთითებდნენ, იმ დროინდელი ქართული კანონმდებლობის სისტემურ ხარვეზებზე, როცა მოხდა მომჩივნის მიერ გასაჩივრებული ინციდენტები<sup>18</sup> და კანონმდებლობის არარსებობაზე, რომელიც ცალსახად ახდენდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაციას;<sup>19</sup> ასევე, აღნიშნავდნენ შესაბამისი პოლიტიკის იმპლემენტაციის არარსებობას, რომელიც უზრუნველყოფდა ოჯახში ძალადობის გამოძიებას, სამართალწარმოებას და დამნაშავეის დასჯას; კანონმდებლობის არარსებობას, რომელიც უზრუნველყოფდა შემაკავებელ ან დამცავ ორდერს;<sup>20</sup> სამართალდამცავი ორგანოს, პროკურორატურისა და სასამართლო წარმომადგენლებისათვის საკმარისი ტრენინგების არარსებობაზე, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მსხვერპლის დაცვა და წინასწარშექმნილი აზრის აღმოფხვრა იმ პირების მიმართ, რომლებიც ბრალდებულნი არიან ამგვარ ძალადობაში (ძირითადად, მამაკაცების), მოსარჩელების საწინააღმდეგოდ (ძირითადად, ქალები); მსხვერპლის დაკითხვისათვის სპეციალური მექანიზმის

<sup>17</sup> საჩივრის ავტორებმა მიუთითეს კომიტეტის N19 ზოგად რეკომენდაციაზე, პარ.1.

<sup>18</sup> საჩივრის ავტორებმა მიუთითეს საქართველოს პერიოდული მიმოხილვის პირველი ციკლის შემაჯამებელ ანგარიშზე (A/54/38/Rev.1, ნაწილი 2, პარ.102 [რეკომენდაციას გასცემდა, რომ შექმნილიყო კანონმდებლობა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან; აგრეთვე, მომხდარიყო ქორწინების პერიოდში ჩადენილი გაუპატიურების კრიმინალიზაცია]; მეორე და მესამე ციკლის შემაჯამებელ ანგარიშზე (CEDAW/C/GEO/CO/3, პარ.19-20) (მიუთითებდა ოჯახში ძალადობის აღმოფხვრასა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კანონმდებლობაზე); წამების წინააღმდეგ კომიტეტის შემაჯამებელი ანგარიში საქართველოს მეორე პერიოდული ანგარიშის შესახებ (a/56/44, პარ. 82(J)); კომიტეტის შემაჯამებელი ანგარიში ბავშვთა უფლებების შესახებ, საქართველოს მეორე პერიოდული ანგარიშის ფარგლებში (CRC/C/15/Add.222, პარ.42-43); სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კომიტეტის შემაჯამებელი ანგარიში საქართველოს თავდაპირველი ანგარიშის შესახებ (E/C/12/1/Add.83, პარ. 18 და 36); ადამიანის უფლებათა კომიტეტის შემაჯამებელი ანგარიში საქართველოს მეორე პერიოდულ ანგარიშზე (CCPR/CO.74/GEO,პარ.14); სპეციალური მომსახურების ანგარიში ქალთა წინააღმდეგ ძალადობის, ამის გამომწვევები მიზეზების და შედეგების შესახებ, ქალთა წინააღმდეგ ძალადობის სფეროში საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული განვითარებები 1994-2003 წლებში (E/CN.4/2003/75/Add.1, პარ.1996).

<sup>19</sup> საჩივრის ავტორებმა მიუთითეს, რომ ასეთი კანონმდებლობა მიღებულ იქნა მხოლოდ 2012 წელს.

<sup>20</sup> საჩივრის ავტორებმა განაცხადეს, რომ ასეთი კანონმდებლობა 2006 წელს იქნა მიღებული, ოჯახში ძალადობის პრევენციის აქტთან ერთად.

არარსებობასა და არსებულ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, ექვმიტანილ პირებს ხელწერილს აწერინებდნენ, რომელსაც სამართლებრივად მზოჭავი ძალა არ ჰქონდა. საჩივრის ავტორები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო წარმოდგინა მტკიცებულება ან მნიშვნელოვანი არგუმენტები, რათა უარეყო ეს ყოველივე. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო არ დაობს წარმოდგენილი ფაქტების ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით, იგი სადავოდ ხდის, რომ ყოველივე ზემოთხსენებული, უფლებების დარღვევას წარმოადგენდა. აღნიშნული, კომიტეტის ცალსახა მითითებების საწინააღმდეგოა.<sup>21</sup>

8.6. საჩივრის ავტორები აცხადებდნენ, რომ, წინამდებარე საქმეში, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საჩივრების რეგისტრაცია, გამოძიების დაწყება, ოჯახში ძალადობასთან მიმართებით ძველი საჩივრების გათვალისწინება, იმის აღიარება, რომ ფიზიკური ძალადობის ინციდენტები სისხლისსამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენდა, აგრეთვე, სქესთან და ბავშვთან დაკავშირებული ფაქიზი თემებიდან გამომდინარე, შესაბამისი დაკითხვის უზრუნველყოფა. საჩივრის ავტორები, შესაბამისად, იმეორებდნენ, რომ სახელმწიფომ, კონვენციის 1-ლი, 2 (გ) და 2(დ) მუხლების მიხედვით, ვერ უზრუნველყო დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის პრინციპების პრაქტიკული რეალიზაცია.<sup>22</sup>

8.7. საჩივრის ავტორებმა განაცხადეს, რომ სახელმწიფოში არსებობს ქმედების სოციო-კულტურული მოდელი, რომელიც კაცის სიტყვას უფრო მეტ წონას ანიჭებს და რომლისთვისაც მისაღებია ფიზიკური ძალადობის და სექსუალური შეხების გარკვეული დონე, რომელიც მამისთვის მისაღებია. ჩვეულებები და სოციალური მოდელები, აგრეთვე, ხელს უწყობს დისკრიმინაციას და წინასწარ შექმნილ მოსაზრებებს, რომელიც ეფუძნება ქვემდგომისა და ზემდგომის იდეას. საჩივრის ავტორები დამატებით აცხადებდნენ, რომ სახელმწიფო სადავოდ არ ხდიდა დისკრიმინაციულ პრაქტიკას, ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელს და გადაწყვეტილებაში მითითებულ ცრუ შეხედულებებს. სახელმწიფოს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც ცვლიდა ან უარყოფდა მათ.

<sup>21</sup> საჩივრის ავტორები მიმართავენ მე-19 ზოგად რეკომენდაციას, პარ.24 (b), 24(k), 24( r)(iii) და 24 ( r)(v); და A.T. v. Hungary, სქოლიო 12 ზემოთ, პარ. 9.6. (გ). ისინი დამატებით მიუთითებენ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის თაობაზე სპეციალური მომსახურების ანგარიშზე (E/CN.4/2006/61 პარ.82).

<sup>22</sup> საჩივრის ავტორებმა მიუთითეს N47/2012, Gonzalez Carreno v. Spain გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიღებულ იქნა 2014 წლის 16 ივლისს, პარ. 9.9.

8.8. საჩივრის ავტორები სადავოდ ხდიან სახელმწიფოს არგუმენტს, რომ ყველა აუცილებელი საგამოძიებო პროცედურა, წინასწარი გამოძიების დროს დაცული იყო, მიუთითებენ რა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შეფასების ობიექტური სტანდარტის გამოყენება იმ მტკიცებულების მიმართ, რომელიც დანაშაულის ჩადენაზე მიუთითებდა და შესაბამისი ქმედების განხორციელება. „X“-ის ქმრის მიერ იმის აღიარებამ, რომ იგი გამუდმებით ეალერსებოდა საკუთარ ქალიშვილს, რომ იგი ხანდახან ცემდა ცოლს და რომ მან მისი ვაჟი - „T“, ლოგინზე სახით დააგდო და რამდენჯერმე დაარტყა, არ განაპირობა გამოძიების დაწყება. პირიქით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაასკვნეს, რომ ქმრის ქმედება არ იყო უკანონო და, ამრიგად, მოახდინეს ინსტიტუციონალური მარცხის და, აგრეთვე, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ოჯახში ძალადობის ეფექტური გამოძიების და დამნაშავის დასჯის სურვილის ნაკლებობის დემონსტრაცია.

8.9. საჩივრის ავტორებმა დამატებით განაცხადეს, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო მტკიცებულებათა მიუკერძოებლად შეგროვება და წარმოდგენა, ამის ნაცვლად, მათ გამოავლინეს სკეპტიკური და დაუჯერებელი დამოკიდებულება „X“-ის და მისი მოწმეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ. საჩივრის ავტორები, კონკრეტულად მიუთითებდნენ თავდაპირველ შეცდომაზე, როდესაც პოტენციურად რელევანტური ყველა მოწმე არ ყოფილა დაკითხული, აგრეთვე, დაკითხვის დროს წამყვანი კითხვების გამოყენებასა და „X“-ისთვის ფსიქიატრიული გამოკვლევის ჩატარების მოთხოვნაზე, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობდა. შემდგომში აღმოჩნდა, რომ სახელმწიფომ „X“-ის ექიმისაგან მოიპოვა კონფიდენციალური სამედიცინო ინფორმაცია, იმის მტკიცებულების არსებობის გარეშე, რომ „X“ ინფორმაციის გამჟღავნებაზე თანახმა იყო.

8.10. საჩივრის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლა ცხადყოფს ისეთ სასამართლო სისტემას, რომელიც ბრალდების მხარეს შეცდომებს პატიობს და „X“-ის ქმრის მიმართ მიკერძოებულობას ავლენს. 2005 წლის 29 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, აკლია მიუკერძოებელი ანალიზი და ზუსტად ვერ წარმოადგენს შეგროვებული მტკიცებულებების სპეციფიკას. მოსამართლე დასკვნას, შემდგომი წინადადებით აკეთებს: „ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის ფაქტი, რომ მომჩივნის ადვოკატმა ვერ შეძლო გაებათილებინა პროკურატურის მიერ სხვადასხვა გამოკვლევების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები.“ საჩივრის ავტორების თანახმად, აღნიშნული მიუთითებს აშკარა მოვლენაზე, რომ „X“-ის ქმრის სასარგებლოდ წარმოდგენილი

მტკიცებულებების უარყოფის ვალდებულება საჩივრის ავტორებს ჰქონდათ დაკისრებული.

8.11. საჩივრის ავტორების განცხადებით, მათ მიერ განცდილმა ფიზიკურმა, სექსუალურმა, ემოციურმა და ფსიქოლოგიურმა ძალადობამ დიდი გავლენა იქონია მათ ცხოვრებაზე, ფიზიკურ და ემოციურ კეთილდღეობაზე.

8.12. მოპასუხე სახელმწიფოში მიმდინარე საკანონმდებლო და პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორებმა განაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არსებობს ოჯახში ძალადობის ამკრძალავი ნორმები, რომელიც ასეთ ქმედებას დანაშაულად მიიჩნევს, მათი პრაქტიკაში იმპლემენტაცია პრობლემატურია.<sup>23</sup>

8.13. საჩივრის ავტორები მათი უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანისათვის მატერიალურ ანაზღაურებას მოითხოვენ.<sup>24</sup> ისინი, აგრეთვე, მოითხოვენ ოფიციალურ ბოდიშს მთავრობისაგან, ამასთანავე, ფაქტების აღიარებასა და კონვენციით გათვალისწინებული მათი უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებლობის აღებას.<sup>25</sup> მიუხედავად, ნაციონალურ დონეზე საგამომიებო პროცესების ფუნდამენტალური ხარვეზებისა, ისინი არ ითხოვდნენ საქმის ხელახლა გამოძიებას. საჩივრის ავტორებმა დამატებით მიუთითეს, ძალადობის მსხვერპლი ქალების გაზრდილ რაოდენობაზე და ოჯახში სექსუალური ხასიათის ძალადობის შესახებ განაცხადების წარდგენის ნაკლებ მაჩვენებელზე, რაც განპირობებული იყო სტიგმითა და შიშით. საჩივრის ავტორებმა, კომიტეტს მოსთხოვეს მოპასუხე სახელმწიფოსთვის მიეცა ზოგადი რეკომენდაცია, სამართლებრივი ნორმების გამოყენების გაძლიერების შესახებ: რათა უზრუნველყო ეფექტური, დროული და მიუკერძოებელი გამოძიება; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის განმტკიცებელიყო სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა; და გაძლიერებულიყო ქალის როლისა და ვალდებულებების შესახებ სტერეოტიპული მიდგომების შეცვლის მცდელობა.

---

<sup>23</sup> საჩივრის ავტორებმა მიუთითეს ბაბუცა პატარაის მიერ მომზადებულ ანგარიშზე [დამატებითი სათაური არ ყოფილა მითითებული, იხ. დანართი 2].

<sup>24</sup> საჩივრის ავტორებმა მიუთითეს N28 და 19 ზოგად რეკომენდაციებზე.

<sup>25</sup> საჩივრის ავტორებმა მიუთითეს N28 ზოგად რეკომენდაციაზე, პარ.32, გენერალური ასამბლეის N6-147 რეზოლუციაზე, პარ.22 და ადამიანის უფლებათა კომიტეტის N1493/2006 გადაწყვეტილებაზე *Williams Lecraft v. Spain*, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2009 წლის 27 ივლისს, პარ.9.

## კომიტეტის შეფასება

### *საქმის არსებითი გარემოებების განხილვა*

9.1. კომისიამ, წინამდებარე საქმე, დამატებითი ოქმის მე-7 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, საჩივრის ავტორისა და სახელმწიფოს მიერ მის წინაშე წარდგენილი ყველა ინფორმაციის ფონზე განიხილა.

9.2. კომისია ყურადღებით შეისწავლის „X“-ის განცხადებებს, ქმრის მიერ მის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ისტორიის შესახებ. კომისიამ, აღნიშნულის შესწავლა 1987 წელს, მათ ქორწინებამდე ჩადენილი გაუპატიურებით, აგრეთვე, ქორწინების პერიოდში, განსაკუთრებით 1996 წლიდან, გამოვლენილი ძალადობითა და „X“-ის მიერ პოლიციაში წარდგენილი არაერთი საჩივრით დაიწყო. კომიტეტი, ასევე, გულდასმით შეისწავლის, საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილ ინფორმაციას, მისი ქმრის მიერ ბავშვებთან, განსაკუთრებით მის ვაჟთან - „T“-სა, და მის ქალიშვილთან - „Y“-თან მოპყრობის შესახებ. კომიტეტი აღნიშნავს „Y“-ის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შესახებ მიწოდებულ ინფორმაციას, რის შესახებაც 2004 წლის 16 ივნისს, რაიონულ პროკურატურაში საჩივარი იქნა წარდგენილი. კომიტეტი შემდგომში შენიშნავს, რომ საჩივარს განამტკიცებდა „X“-ის შვილის, „T“-ს, განცხადებები, ისევე როგორც, „X“-ის დედის ჩვენება, რომელიც პირველი იყო, ვინც „Y“-ს მიმართ მამის უხამსი ქმედებები შეამჩნია. „X“ ამტკიცებდა, რომ მიუხედავად მისი საჩივრებისა, სახელმწიფომ არ უზრუნველყო ეფექტური გამოძიების წარმოება მის წინააღმდეგ ოჯახური ძალადობის და მისი ქალიშვილის წინააღმდეგ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის თაობაზე. „X“-ის განცხადებით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი ქმრის წინააღმდეგ სამართალწარმოების განხორციელება, კონვენციის 1-ლი, მე-2 (ბ)-2(ვ) მუხლებით გათვალისწინებული მათი უფლებების დარღვევის გამო. შესაბამისად, კომიტეტმა უნდა განსაზღვროს, მოპასუხე სახელმწიფომ, საჯარო ინსტიტუტებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მეშვეობით, ადეკვატურად განიხილა თუ არა „X“-ის საჩივრები და მიანიჭა თუ არა მას და „Y“-ს ეფექტური სამართლებრივი დაცვა.

9.3. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მე-19 ზოგადი რეკომენდაციის მე-6 პარაგრაფის თანახმად, კონვენციის 1-ლი მუხლის ფარგლებში, დისკრიმინაციას წარმოადგენს ქალების წინააღმდეგ განხორციელებული სქესზე დაფუძნებული ძალადობა. მსგავსი დისკრიმინაცია შეზღუდული არ არის მთავრობის მიერ ან მთავრობის სახელით განხორციელებული ქმედებებით. არამედ, მე-2(ე) მუხლის მიხედვით,

სახელმწიფოები შესაძლოა პასუხისმგებელი იყვნენ კერძო ქმედებებისთვის, თუ ისინი სათანადოდ ვერ იმოქმედებენ, რათა აღკვეთონ უფლებათა დარღვევა ან გამოიძიონ და დასაჯონ ძალადობის განმახორციელებელი პირები, ხოლო დაზარალებულს მიაკუთვნონ კომპენსაცია (პარ. 9).

9.4. კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს „X“-ის განცხადებაზე, რომ იმ მოვლენების განვითარების დროს, რომელმაც მის საჩივარს დაუდო საფუძველი, მოპასუხე სახელმწიფოში არ არსებობდა კანონმდებლობა, რომელიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტურ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფდა და რომ ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ კანონი, რომელიც პირველად შეიცავდა ოჯახში ძალადობის განსაზღვრებას, მხოლოდ 2006 წლის 25 მაისს იქნა მიღებული. კომიტეტი, აგრეთვე, ყურადღებას ამახვილებს იმ ინფორმაციაზე, რომელიც უბნის ინსპექტორის მიერ საჩივრის განხილვის ფორმას შეეხება, კერძოდ, რომ იგი დამნაშავეს უბრალოდ ხელწერილს აწერინებდა, რომ მომავალში იგივე ქმედებას აღარ ჩაიდენდა. ასეთი ხელწერილები არ იყო სამართლებრივად მხოჭავი და შესაბამისად, არ სრულდებოდა. როდესაც მსხვერპლი დაჟინებით ითხოვდა ძალადობის შესახებ ოფიციალური საჩივრის შეტანას, პროკურატურა ნაცვლად ინციდენტის გამოძიებისა და დამნაშავეს დასჯისა, მეუღლეებს შორის მედიატორის როლს კისრულობდა.

9.5. კომიტეტმა საფუძვლიანად განიხილა, თუ როგორ გამოიკვლია ხელისუფლების წარმომადგენლებმა „X“-ის საჩივრები და შენიშნა, რომ 2001 წლის 28 დეკემბერს ისანი-სამგორის რაიონულმა პროკურატურამ უარი განაცხადა სისხლის სამართლის გამოძიების დაწყებაზე, 2001 წლის 23 დეკემბრით დათარიღებულ კიდევ ერთ ინციდენტზე, რომლის დროსაც „X“-ს დაზიანებები თავისა და სახის არეში ჰქონდა მიყენებული. აღნიშნულის საფუძველად, მათ, „X“-ის მიერ საჩივრის უკან გახმობა მიუთითეს. პოლიციამ რეაგირება მოახდინა მისი ქმრის მიერ განხორციელებულ ფიზიკურ თავდასხმებთან დაკავშირებით, „X“-ის 2004 წლის 16 ივნისისა და 15 ივლისის საჩივრებზე. პოლიციამ „X“-ის ქმარს ჩამოართვა ხელწერილი, რომ იგი შემდგომში ოჯახის წევრების მიმართ, ძალადობას აღარ განახორციელებდა. 2004 წლის 24 ივლისს, რაიონულმა პროკურატურამ „X“-ს ინფორმაცია მიაწოდა, რომ მისი ქმრის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყებოდა. ანალოგიურად, რაიონულ პროკურატურაში „X“-ის საჩივრის მიხედვით, რომ მისი ქმარი მათ ქალიშვილზე ფიზიკურად და სექსუალურად ძალადობდა, რაც განმტკიცებული იყო „X“-ის შვილის, „T“-ს ჩვენებით, რომელიც იხსენებდა ფაქტებს, როდესაც მამამისი ცემდა მას და მის დას და აგრეთვე, „X“-ის დედის განცხადებით, რაიონულმა

პროკურატურამ 2004 წლის 30 ივნისს გადაწყვიტა, რომ არ დაეწყო სისხლის სამართლის საქმის წარმოება. კომიტეტმა ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს სადავოდ არ გაუხდია ეს ბრალდებები, პირიქით, 2011 წლის 5 სექტემბრის წარდგინებებში, სახელმწიფო აღიარებს, რომ როდესაც ძალადობა განხორციელდა, ეროვნული კანონმდებლობა კონვენციასთან ჰარმონიზაციის პროცესში იყო. სახელმწიფომ, აგრეთვე, აღიარა, რომ გამოძიების ხარვეზებს, რომელიც იმ დროისათვის იდენტიფიცირებადი იყო, შესაძლოა გამოეწვია საჩივრის ავტორების უფლებების დარღვევა.

9.6. კომიტეტი აღნიშნავს, რომ, „X“-მა, ქმრის მიერ მისი და მისი შვილების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის შესახებ, რამდენიმე საჩივარი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოში წარადგინა.<sup>26</sup> პოლიციაში წარდგენილი ყველა საჩივრის შედეგი გახლდათ ის, რომ პოლიციის ოფიცრები მის მეუღლეს ხელწერილს ადებინებდნენ, რომ იგი „X“-სა და მისი შვილების წინააღმდეგ ძალადობას აღარ განახორციელებდა. აღნიშნულს ადგილი ჰქონდა მაშინაც კი, როცა ერთ შემთხვევაში, „X“-მა სამედიცინო სერთიფიკატი წარადგინა, რომელიც მიუთითებდა, რომ მას სხეულის გარეგანი დაზიანება ჰქონდა, რაც განპირობებული იყო მისი ქმრის მიერ ცემის შედეგად. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ქმრის მიერ რამდენიმე ხელწერილის დაწერისა, საჩივრის ავტორებისა და სხვა ბავშვების მიმართ ძალადობა გრძელდებოდა, რაც გამოწვეული იყო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ძალადობის აღსაკვეთად ადეკვატური რეაგირების განუხორციელებლობით. „X“-ის თავდაპირველი საჩივრის გამოკვლევა აღარ გაგრძელდა, რადგან მან უკან გაიტანა იგი და დევნის განმახორციელებელმა ორგანოებმა გადაწყვიტეს აღარ გაეგრძელებინათ გამოძიება, მიუხედავად ბრალდებების სიმძიმისა და მისი სერიოზული ბუნებისა. „X“-ის შემდგომ საჩივრებს უარი ეთქვა და დევნის განმახორციელებელმა ორგანოებმა გადაწყვიტეს, რომ „X“-ის ქმრის ქმედებებში არ იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები, ხოლო სასამართლოებმა საქმე უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. აღნიშნული ჩვენებები სახელმწიფოს არც უარყვია და არც სადავოდ გაუხდია, რაც იმას ნიშნავდა, რომ „X“-ის ადვოკატი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეწინააღმდეგებოდა პროკურორების მიერ სხვადასხვა მოკვლევების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, შესაბამისად, ოჯახში ძალადობის საქმესთან დაკავშირებულ მტკიცების ტვირთთან მიმართებით, ზედმეტად გადაჭარბებული მოთხოვნები იქნა დაკისრებული.<sup>27</sup>

<sup>26</sup> იხ. ზემოთ, პარაგრაფი 2.10 და 2.11.

<sup>27</sup> მსგავსი მიდგომისთვის, მაგალითად, V.K. v. Bulgaria, ზემოთ, სქოლიო 15, პარ.9.9.

9.7. კომიტეტი მიიჩნევს, რომ საქმის მთლიანობაში გაცნობის შედეგად, ზემოთხსენებული უდავო ფაქტები ცხადყოფენ, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, გაეტარებინა შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის, სანქციები, რომლებიც აკრძალავდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობას, როგორც ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას; მამაკაცების თანაბარწილად, შეექმნა ქალთა უფლებების სამართლებრივი დაცვის სისტემა და, კომპეტენტური ტრიბუნალებისა და სხვა საჯარო დაწესებულების მეშვეობით, ეფექტურად უზრუნველყო, ქალთა დაცვა დისკრიმინაციისაგან; არ ჩარეულიყო ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციისაკენ მიმართულ რაიმე ქმედებაში და უზრუნველყო საჯარო მოხელეებისა და დაწესებულებების აღნიშნული ვალდებულების შესაბამისად მოქმედება; გაეტარებინა ყველა სათანადო ღონისძიება, რათა ნებისმიერი პირის, ორგანიზაციის ან საწარმოს მხრიდან აღმოეხზვრა ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაცია; და მიეღო ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის, საკანონმდებლო, რათა გაეუქმებინა ან შეეცვალა არსებული კანონები, რეგულაციები, ჩვეულებები და პრაქტიკა, რომლებიც ქალთა მიმართ დისკრიმინაციული იყო. კომიტეტი, აგრეთვე, მიიჩნევს, რომ ზემოთხსენებული ფაქტები მიუთითებენ, სახელმწიფოს ვალდებულების შეუსრულებლობაზე, გაეტარებინა ყველა შესაბამისი ღონისძიება, რათა შეეცვალა ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალური და კულტურული ნორმები, იმ თვალსაზრისით, რომ აღმოეხზვრილიყო ცრუ შეხედულებები და ჩვევები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომელიც ეფუძნებოდა რომელიმე სქესის წარმომადგენლის უპირატესობას ან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას მეორე სქესთან მიმართებით ან ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპულ როლს.

10. დამატებითი ოქმის მე-7(3) მუხლის შესაბამისად და ყველა ზემოთხსენებული დასკვნის ფონზე, კომიტეტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება და, შესაბამისად, დაარღვია კონვენციის მე-2(ბ)-2(ვ) მუხლი, 1-ელ მუხლთან ერთად და მე-5(ა) მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ავტორის უფლებები, ისევე, როგორც კომიტეტის მე-19 ზოგადი რეკომენდაცია.

11. კომიტეტი სახელმწიფოს შემდგომი რეკომენდაციებით მიმართავს:

ა) საჩივრის ავტორებს: საჩივრის ავტორებს მიენიჭოთ ადეკვატური ფინანსური კომპენსაცია, რომელიც მათი უფლებების დარღვევის სიმძიმის თანაზომიერი იქნება;

ბ) ზოგადად:



- (i) ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის და მათი შვილებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დროული და ადექვატური დახმარების მიწოდება, მათ შორის, თავშესაფარი და ფსიქოლოგიური დახმარება;
- (ii) გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან, უფრო კონკრეტულად, ოჯახში ძალადობასთან მიმართებით წარდგენილ იქნეს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა;
- (iii) განხორციელდეს ევროპის საბჭოს „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება;
- (iv) მოსამართლეთათვის, ადვოკატებისა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისათვის, მათ შორის, პროკურორებისათვის, უზრუნველყოფილ იქნას სავალდებულო ტრენინგის ჩატარება ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ კანონის გამოყენების თაობაზე; აგრეთვე, ჩატარდეს ტრენინგი ოჯახში ძალადობის განსაზღვრებასა და გენდერულ სტერეოტიპებზე, ისევე, როგორც კონვენციის, დამატებითი ოქმებისა და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების, კერძოდ, მე-19 ზოგადი რეკომენდაციის შესახებ.

12. კონვენციის მე-7(4) მუხლის შესაბამისად, სახელმწიფომ, რეკომენდაციებთან ერთად, ჯეროვნად უნდა განიხილოს კომიტეტის დასკვნები და ექვსი თვის განმავლობაში კომიტეტს უნდა წარუდგინოს წერილობითი პასუხი, მათ შორის, ინფორმაცია კომიტეტის დასკვნებისა და რეკომენდაციების ფონზე განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებებზე. სახელმწიფოს მოეთხოვება ქართულად თარგმნოს კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები, გამოაქვეყნოს და ფართოდ გაავრცელოს იგი, რათა მას საზოგადოების ყველა სექტორი გაეცნოს.